კომპანიების გამოკითხვა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ტექნიკური ანგარიში

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი
„მმართველობა განვითარებისათვის“

10 აგვისტო 2016

ამ ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით გაწეული დახმარების შედეგად. მის შინაარსზე პასუხისმგებელია „დელოიტ ქონსალთინგი“. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოზიციას.

კომპანიების გამოკითხვა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ტექნიკური ანგარიში

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი

„მმართველობა განვითარებისათვის“

კონტრაქტის ნომერი: AID-114-C-14-00007

„დელოიტ ქონსალთინგი“

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო | საქართველო

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საკონტრაქტო

ოფიცრის წარმომადგენელი: რევაზ ორმოცაძე

ავტორი: CRRC-საქართველო

სახელმწიფო შესყიდვების სისტემა: 5840

ენა: ქართული

10 აგვისტო, 2016

შენიშვნა:

ამ ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით გაწეული დახმარების შედეგად. მის შინაარსზე პასუხისმგებელია „დელოიტ ქონსალთინგი“. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოზიციას.

მონაცემები

რედაქტორი: თამარ ბუაძე, მრჩეველი საკანონმდებლო პოლიტიკის საკითხებში

ნინო ჩოხელი, მთავრობის შესაძლებლობათა განვითარების კომპონენტის ლიდერი

პროექტის კომპონენტი: მთავრობის შესაძლებლობათა განვითარების კომპონენტი

სფერო: სახელმწიფო შესყიდვები

საკვანძო სიტყვები: კვლევა, სახელმწიფო შესყიდვები, ნდობა, ინფორმაცია, ბარიერები

სარჩევი

1. კვლევის ძირითადი მიზნებები 4

2. შესავალი 6

3. მეთოდოლოგია 8

4. კვლევის შედეგები 9

4.1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიების შესახებ 9

4.2. ცოდნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 13

4.3. ნდობა სახელმწიფო შესყიდვების პროცესის მიმართ 16

4.4. სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის გამოცდილება 21

4.5. სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის ბარიერები 30

5. რეკომენდაციები 32

დანართი 1 - მეთოდოლოგია 34

შერჩევა 34

კითხვარი 36

საველე სამუშაო 37

მონაცემთა შეწონვა 38

მონაცემთა ხარისხის შემოწმება 38

დანართი 2 - ცხრილები 39

1. კვლევის ძირითადი მიგნებები

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ კომპანიების მონაწილეობისთვის სახელმწიფო შესყიდვებში მნიშვნელოვანია რამდენიმე ფაქტორი:

1. ადამიანური რესურსები

კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა, განსაკუთრებით კი - გაყიდვებზე პასუხისმგებელი პირის არსებობა და ამ პირის მიერ კომპიუტერის ცოდნის დონე მნიშვნელოვანი ფაქტორებია სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობისთვის. კომპანიებს, რომლებიც არ მონაწილეობენ სახელმწიფო შესყიდვებში, ყავთ უფრო ცოტა თანამშრომელი და უფრო იშვიათად ყავთ გაყიდვებზე პასუხისმგებელი თანამშრომელი; ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი თანამშრომელი ყავთ, მისი კომპიუტერის ცოდნის დონე და ინტერნეტთან წვდომა უფრო მეტად შეზღუდულია, ვიდრე სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიების შემთხვევაში. შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვებში კომპანიების უფრო აქტიურად მონაწილეობის მიზნით მიზანშეწონილია, რომ კომპანიებს ჰყავდეთ თანამშრომელი, რომელიც გაყიდვებზეა პასუხისმეგებელი და ერკვევა სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში.

2. ინფორმირებულობა

ინფორმაციის ნაკლებობა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შესაძლოა ერთ-ერთი მიზეზი იყოს, რის გამოც კომპანიები არ ან ვერ მონაწილეობენ სახელმწიფო შესყიდვებში. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ იმ კომპანიებიდან, რომლებსაც არასოდეს მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში, უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული შესყიდვების შესახებ, ისევე როგორც შესაბამისი სემინარების შესახებ. ის კომპანიებიც კი, რომლებიც მონაწილეობენ სახელმწიფო შესყიდვებში, არ არიან კარგად ინფორმირებულნი სახელმწიფო შესყიდვების სისტემის შესახებ: მათი დიდი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ინფორმაცია შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი შესყიდვების შესახებ ხელმისაწვდომია ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის მოდულში (ePlan) და რომ დავების განხილვის საბჭოს შემადგენლობაში არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებიც შედიან. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სისტემის კიდევ უფრო მეტი საჯაროობა, შესაბამისი სემინარებისა და ტრენინგების შესახებ ინფორმაციის კიდევ უფრო ფართოდ გავრცელება გაზრდის კომპანიების მონაწილეობას სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში.

3. ნდობა

სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიების უმრავლესობა აცხადებს, რომ ენდობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და მიიჩნევს, რომ სახელმწიფო შესყიდვები სამართლიანად ტარდება. თუმცა, იმ კომპანიებს, რომლებსაც არასოდეს მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში, უჭირთ აზრის დაფიქსირება ამ საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიების დიდი ნაწილი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსადმი ნდობას აფიქსირებს, ამ კომპანიების ერთი მესამედი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო შესყიდვების ტენდერები ხშირად ერთ კონკრეტულ კომპანიაზეა „მორგებული“ და მის გამარჯვებას ისახავს მიზნად. შესაბამისად, კომპანიების ნდობის გაზრდა სახელმწიფო შესყიდვების სისტემისადმი პრინციპულად მნიშვნელოვანია მათი უფრო აქტიური ჩართულობისათვის სახელმწიფო შესყიდვების პროცესში.

4. შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ მოთხოვნილი ბრუნვა

კომპანიების გარკვეული ნაწილი სახელმწიფო შესყიდვებში არ მონაწილეობის ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების მოთხოვნებს კომპანიების ბრუნვის ოდენობასთან დაკავშირებით. იმ კომპანიებიდანაც, რომლებიც იშვიათად ან ზოგჯერ მონაწილეობენ სახელმწიფო შესყიდვებში და სახელმწიფო შესყიდვების კუთხით ყველაზე პრობლემურ ხუთ სფეროს მიეკუთვნებიან (1. მშენებლობა; 2. ინჟინერია; 3. ტრანსპორტი და ლოგისტიკა; 4. ავეჯი; 5. საკვები და სასმელი პროდუქტები), მესამედისთვის სწორედ მოთხოვნილი ბრუნვის ოდენობა წარმოადგენს იმ ბარიერს, რაც ხელს უშლით ყოველთვის მიიღონ მონაწილეობა მათ სფეროში გამოცხადებულ სახელმწიფო შესყიდვებში. ამიტომ სახელმწიფო ტენდერებში კომპანიების მონაწილეობის გაზრდის მიზნით მიზანშეწონილი იქნება არსებული მოთხოვნების გადახედვა და შეცვლა არსებული რეალობის გათვალისწინებით.

2. შესავალი

მოცემული კვლევა ჩატარდა აშშ-ს განვითარების სააგენტოს პროექტის, „მმართველობა განვითარებისთვის“ ფარგლებში და მისი მიზანია იმ მიზეზების დადგენა, რომლებიც აბრკოლებს ქართულ კომპანიებს, მონაწილოება მიიღონ სახელმწიფო შესყიდვებში.

2010 წელს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, რის შედეგადაც სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდება ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს შემსყიდველ ორგანიზაციებსა და მიმწოდებლებს. ელექტრონული ტენდერების სისტემაზე გადასვლის მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფო შესყიდვების გამარტივება და გამჭვირვალობის მიღწევა. განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, სახელმწიფო შესყიდვებში კომპანიების მონაწილეობა მაინც არ გამოირჩევა აქტიურობით. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მონაცემებით, 2015 წლის ნოემბრისთვის, მოქმედი კომპანიების მხოლოდ 18%-ია დარეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში. უფრო მეტი, დარეგისტრირებული კომპანიების 37%-ს არასოდეს მიუღია მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში.

განსაკუთრებით პრობლემურია მშენებლობის, ინჟინერიის, ტრანსპორტისა და ლოგისტიკის, ავეჯის და საკვები და სასმელი პროდუქტებით მომარაგების სფეროებში გამოცხადებული ტენდერები, სადაც კომპანიების მონაწილეობა ძალიან დაბალია, ხოლო ჩაშლილი ტენდერების რაოდენობა - ძალიან მაღალი.

პრობლემის გადაჭრის პირველ ეტაპს წარმოადგს კომპანიების გამოკითხვა, რომლის ფარგლებშიც შესწავლილი იქნება ქართული კომპანიების დამოკიდებულებები სახელმწიფო შესყიდვების მიმართ და დაბრკოლებები, რომლებსაც კომპანიები აწყდებიან შესყიდვებში მონაწილეობის პროცესში. ამ გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელი იქნება რეკომენდაციების შემუშავება სახელმწიფო და არასახელმწიფო უწყებებისთვის, თუ როგორ იქნება შესაძლებელი კომპანიების მონაწილეობის წახალისება სახელმწიფო შესყიდვებში, რაც თავის მხრივ გაზრდის წარმატებული ტენდერების რიცხვს და კონკურენციას კომპანიებს შორის.

სახელმწიფო შესყიდვები

სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდება ხუთი განსხვავებული გზით, რომელთა შერჩევაც დამოკიდებულია შესყიდვის ობიექტის ღირებულებასა და თავისებურებაზე. ტენდერის ძირითადი სახეებია: გამარტივებული შესყიდვა, გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, ელექტრონული ტენდერი, კონსოლიდირებული ტენდერი და კონკურსი.

გამარტივებული შესყიდვისას შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, რომ შესყიდვა განახორციელოს პირდაპირი გზით, ანუ ტენდერის ჩატარების გარეშე, თუმცა ეს არ გულისხმობს შემსყიდველი ორგანიზაციის სრულ დამოუკიდებლობას შესყიდვის განხორცილებისას.

გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერსა და ელექტრონულ ტენდერს შორის ძირითადი განსხვავება მათ ხანგრძლივობაშია. მათი გამოცხადება დამოკიდებულია წლის განმავლობაში ერთგვაროვანი შესასყიდი ობიექტების სავარაუდო ჯამურ ღირებულებაზე.

კონსოლიდირებული ტენდერი ტარდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით სააგენტოს მიერ ჩატარებული ანალიტიკურ-კვლევითი საქმიანობის საფუძველზე, რის შედეგადაც ხდება იმ ობიექტების იდენტიფიცირება, რომელთა შესყიდვაც კონსოლიდირებული სახით გამართლებული იქნება საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვის პრინციპის გათვალისწინებით.

კონკურსი განსხვავებულად რეგულირდება, რაც განპირობებულია მისი შესყიდვის ობიექტის სპეციფიკური ბუნებით. კონკურსის შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს შეისყიდოს საპროექტო ან/და სახარჯთაღრიცხვო მომსახურება (მაგ., არქიტექტურული და საინჟინრო გეგმები ან პროექტები).

უკანასკნელ პერიოდში შესყიდვების ამ ტიპებს დაემატა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე, ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე და ორეტაპიანი ტენდერი. ასევე არსებობს შეყიდვის ელექტრონული პროცედურა, საგრანტო კონკურსი და შესყიდვის ელექტრონული პროცედურა დონორის სახსრებით. სრული ინფორმაცია შესყიდვების სხვადასხვა ტიპის შესახებ ხელმისაწვდომია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ გვერდზე (http://procurement.gov.ge/).

სახელმწიფო შესყიდვების პროცესების გამჭირვალობის უზრუნველსაყოფად შექმნილია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, ხოლო შემსყიდველი ორგანიზაციების წინააღმდეგ საჩივრების განსახილველად - დავების განხილვის საბჭო.

3. მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით გამოიკითხა 958 კომპანიის წარმომადგენელი. კითხვარის შემუშავება მოხდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან და პროექტის - „მმართველობა განვითარებისთვის“ - წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობით. კითხვარის შემუშავებას წინ უძღოდა სამი ფოკუს-ჯგუფი სხვადასხვა კომპანიის გაყიდვებზე პასუხისმგებელ პირებთან. ფოკუს-ჯგუფების მიზანი იყო კითხვარის შესაქმნელად საჭირო ინფორმაციის მიღება პოტენციური პრობლემისა და შესაძლებლობების შესახებ, რომლებსაც კომპანიები სახელწიფო შესყიდვების პროცესში მონაწილეობისას ხედავენ. კითხვარის პირველი ვერსიის დახვეწის მიზნით ჩატარდა პილოტური ინტერვიუები.

კომპანიების შერჩევა გამოკითხვისთვის მოხდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული სიიდან, რომელიც მოიცავდა 2016 წლის 1 აპრილის მდგომარეობით საქართველოში მოქმედ 25,011 კომპანიას, რომელთა წლიური ბრუნვა მინიმუმ ასი ათას ლარს შეადგენდა.

შერჩევის დიზაინი წარმოადგენს ორ დონიან არაპროპორციულ სტრატიფიკაციას (სტრატის და სუბსტრატის). შერჩევა მოიცავს ორ სტრატას. ერთი სტრატა მოიცავს კომპანიებს რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ სახელმწიფო შესყიდვებში (იმის მიუხედავად, მათ გაიმარჯვეს თუ არა სახელმწიფო შესყიდვის კონკურსში), ხოლო მეორე სტრატა მოიცავს კომპანიებს, რომელთაც არ მუღიათ მონაწილეობა შესყიდვებში (იმის მიუხედავად ისინი იყვნენ თუ არა დარეგისტრირებულნი სახელმწიფო შესყიდვების პორტალზე). კვლევა წარმომადგენლობითია სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე და არამონაწილე კომპანიებისთვის. თითოეული სტრატა თავს მხრივ იშლება 6 სუბსტრატად კომპანიების საქმიანობის სფეროების მიხედვით. აქედან 5 სუბსტრატა მოიცავს შემდეგ ზემოთ ხსენებულ ხუთ პრობლემურ სფეროებში მომუშავე კომპანიებს: (1) მშენებლობა, (2) არქიტექტორული და საინჟინრო მომსახურება/ტექნიკური კონსულტაციების გაწევა, (3) ავეჯი, (4) ტრანსპორტი და ლოგისტიკა (5) საკვები პროდუქტები და სასმელი. მეექვსე სუბსტრატა მოიცავს ყველა სხვა სფეროში მოღვაწე კომპანიებს. თითოეულ სტრატაში კომპანიების შერჩევა მოხდა შემთხვევითად. შერჩევის ასეთი დიზაინი შესაძლებობას იძლევა ერთმანეთს შევადაროთ სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილე და არამონაწილე კომპანიების წარმომადგენელთა მოსაზრებები და ასევე, ხუთ პრობლემურ სფეროში და სხვა სფეროებში მოღვაწე კომპანიების წარმომადგენელთა მოსაზრებები.

შერჩეულ კომპანიებში გამოიკითხა შესყიდვების სფეროს სპეციალისტი, ხოლო ამ უკანასკნელის არ არსებობის ან ადგილზე არ ყოფნის შემთხვევაში - კომპანიის მენეჯერი ან ფინანსური განყოფილების სპეციალისტი. ინტერვიუები ჩატარდა პირისპირ, ტაბლეტური კომპიუტერების გამოყენებით (CAPI), რომელიც იძლევა დროის ეკონომიისა და მონაცემთა ხარისხის კონტროლის შესაძლებლობას უშუალოდ საველე სამუშაოების მიმდინარეობის დროს.

ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები შეწონილია, რაც შედეგების განზოგადების საშუალებას იძლევა საქართველოში არსებულ რეზიდენტ კომპანიებზე, რომელთა წლიური ბრუნვაც 100 000 ლარს აღემატება.

დეტალური მეთოდოლოგია წარმოდგენილია დანართში 1.

4. კვლევის შედეგები

4.1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიების შესახებ

კომპანიების უმრავლესობა (80%) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს (ცხრილი 2). რაც შეეხება კომპანიების საქმიანობის სფეროებს, მათი განაწილება შემდეგნაირად გამოიყურება:



კომპანიების უმრავლესობა 2004-2014 წლებშია დაარსებული და მათი წლიური ბრუნვა 2015 წელს 100 000-დან - 500 000-მდე იყო (ცხრილები 4 და 5). მათი აბსოლუტური უმრავლესობა (96%) არც ერთი ბიზნეს ასოციაციის წევრი არაა (ცხრილი 6).

კომპანიების უმრავლესობას 10 თანამშრომელზე მეტი არ ყავს. თუმცა ამ მხრივ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე და სხვა კომპანიები განსხვავდებიან ერთმანეთისგან. კერძოდ, იმ კომპანიებს, რომლებიც მონაწილეობენ სახელმწიფო შესყიდვებში, უფრო მეტი თანამშრომლები ყავთ, ვიდრე მათ, ვისაც არასოდეს მიუღია სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა (დიაგრამა 1). ეს მონაცემები მიუთითებს, რომ ადამიანური რესურსების ნაკლებობა, შესაძლოა ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანი იყოს, რის გამოც კომპანიები სახელმწიფო შესყიდვებში არ, ან ვერ მონაწილეობენ.

დიაგრამა 1.



სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე და არამონაწილე კომპანიებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა იმ კუთხითაც, ყავთ თუ არა მათ შესყიდვებზე და გაყიდვებზე პასუხისმგებელი თანამშრომელი. ზოგადად, კომპანიების თითქმის ნახევარს (48%) არ ყავს შესყიდვებზე და გაყიდვებზე პასუხისმგებელი თანამშრომელი, ხოლო დიდი ნაწილისთვის (40%) ამ ფუნქციას კომპანიის ხელმძღვანელი ასრულებს. თუმცა მონაცემთა შემდგომი ანალიზი აჩვენებს, რომ იმ კომპანიების ნახევარზე მეტში, რომლებსაც არასოდეს მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში, გაყიდვებზე და შესყიდვებზე პასუხისმგებელი არავინაა, მაშინ როდესაც სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიებში ასეთი შემთხვევები 5%-ს არ აღემატება (ცხრილი 8).

თუ ამ საკითხს კომპანიების საქმიანობის სფეროების ჭრილში შევხედავთ, ფიქსირდება ორი განსხვავება: 1. სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიებს ხუთი პრობლემური სფეროდან უფრო იშვიათად (14%) ყავთ გაყიდვებზე პასუხისმგებელი პირი, ვიდრე კომპანიებს, რომლებიც სხვა სფეროებში მოღვაწეობენ (21%). 2. გაყიდვებზე პასუხისმგებელი პირი არ ყავს იმ კომპანიების უფრო დიდ ნაწილს, რომლეთაც არასდროს მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში და ხუთ პრობლემურ სფეროს მიეკუთვნებიან (62%) ვიდრე სხვა სფეროების წარმომადგენელ კომპანებს (55%) (დიაგრამა 2).

დიაგრამა 2.



იმ კომპანიებში, რომელთაც ყავთ გაყიდვებზე პასუხისმგებელი პირი, 66%-ში ეს ადამიანი ყოველდღე სარგებლობს ინტერნეტით. ამ შემთხვევაშიც, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე და არა მონაწილე კომპანიები განსხვავდებიან ერთმანეთისგან. კერძოდ, ამ უკანასკნელი ჯგუფის შემთხვევაში გაყიდვებზე პასუხისმგებელი პირი უფრო იშვიათად სარგებლობს ინტერნეტით, შემთხვევების 16%-ში კი - არასოდეს სარგებლობს, მაშინ როდესაც ეს წილი 2%-მდე მცირდება იმ კომპანიებში, რომლებიც მონაწილეობენ სახელმწიფო შესყიდვებში (დიაგრამა 3).

დიაგრამა 3.



შენიშვნა: ეს კითხვა დაესვა მხოლოდ კომპანიების 52%-ს, ვინც სახელმწიფო შესყიდვებზე/გაყიდვებზე პასუხისმგებელ პირად დაასახელა გაყიდვების სპეციალისტი, კომპანიის ხელმძღვანელი/დირექტორი ან სხვა თანამშრომელი

იგივე კომპანიების ნახევარზე მეტი საკუთარ გაყიდვებზე პასუხისმგებელი თანამშრომლის კომპიუტერის ცოდნის დონეს აფასებს როგორც მაღალს (56%), თუმცა სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიების შემთხვევაში ეს წილი უფრო მაღალია, ვიდრე დანარჩენი კომპანიებისთვის (ცხრილი 10).

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ კომპანიის ზომა, გაყიდვებზე პასუხისმგებელი პირის არსებობა და ამ პირის მიერ კომპიუტერის ცოდნის დონე მნიშვნელოვანი ფაქტორებია სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობისთვის. კომპანიებს, რომლებსაც არასოდეს მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში, ყავთ უფრო ცოტა თანამშრომელი, უფრო იშვიათად ყავთ გაყიდვებზე პასუხისმგებელი თანამშრომელი და იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი თანამშრომელი ყავთ, მის მიერ კომპიუტერის ცოდნა და ინტერნეტის გამოყენების სიხშირე უფრო შეზღუდულია, ვიდრე სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიების შემთხვევაში.

4.2. ცოდნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

გამოცხადებული ტენდერების შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროებად სახელდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა (16%) და სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების ვებგვერდები (17%), თუმცა კვლავ განსხვავებულ სურათს იძლევა სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე და არა-მონაწილე კომპანიების შედარება. კერძოდ, ის კომპანიები, რომელთაც ერთხელ მაინც მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში, სხვა კომპანიებთან შედარებით გაცილებით უფრო ხშირად ასახელებენ ამ ორ წყაროს, მაშინ როდესაც იმ კომპანიების უმრავლესობა (77%), რომელთაც არასოდეს მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში, აღნიშნავს, რომ საერთოდ არ ან ვერ იღებს ინფორმაციას სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ ტენდერებზე (დიაგრამა 4).

დიაგრამა 4.



კომპანიების მხოლოდ მეოთხედს სმენია ისეთი სემინარის არსებობის შესახებ, რომლის მიზანია კომპანიების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლება სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში და მათგან მხოლოდ 11%-ს მიუღია მონაწილეობა მსგავს სემინარში (დიაგრამები 5 და 6). მათგან, ვისაც ამ სემინარში მიუღია მონაწილეობა, ნახევარზე მეტი (53%) ამბობს, რომ ტრენინგის ორგანიზატორი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო იყო (ცხრილი 22). საერთო ჯამში, იმის მიუხედავად სმენიათ თუ არა ასეთი სემინარის შესახებ ან მიუღიათ თუ არა მასში მონაწილეობა, კომპანიების 56% მიიჩნევს, რომ ასეთი სემინარი თუ ტრენინგი მათთვის სასარგებლო იქნებოდა (ცხრილი 23). ამასთან, მონაცემთა ანალიზი აჩვენებს, რომ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიები უკეთ არიან ინფორმირებული ამ შესაძლებლობის შესახებ, უფრო ხშირად მონაწილეობენ ასეთ სემინარებში და უფრო სასარგებლოდ

მიიჩნევენ მსგავს სემინარებში მონაწილეობას ვიდრე ის კომპანიები, რომელთაც არასოდეს მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში (ცხრილი 21, 22 და 23).

დიაგრამა 5.



დიაგრამა 6.



შენიშვნა: ეს კითხვა დაესვა კომპანიების 23%-ს, ვისაც სმენია სემინარის შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მომსახურება, როგორიცაა ცხელი ხაზი და ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებული კითხვა-პასუხის მოდული, უმეტესწილად დადებითად ფასდება მომხმარებლების მიერ. კითხვაზე, უსარგებლიათ თუ არა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ცხელი ხაზის მომსახურებით, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიების 37% დადებითად პასუხობს და მათი უმრავლესობა (85%) თვლის, რომ დასმულ კითხვებზე ამომწურავი პასუხი მიიღო (ცხრილი 24 და 25).

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირებული კომპანიების (27%) დაახლოებით ერთ მესამედს უსარგებელია სისტემაში არსებული კითხვა-პასუხის მოდულით (ცხრილი 12). იმ კომპანიების ნახევარზე მეტი, რომელსაც უსარგებლია ამ მოდულით, მიიჩნევს, რომ მიღებული პასუხი სრული და გასაგები იყო. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 9%-ს კითხვაზე პასუხი საერთოდ არ მიუღია და კომპანიების მხოლოდ 36% თვლის, რომ მიღებული პასუხი დროული იყო (დიაგრამა 7). ეს მონაცემები მიუთითებს, რომ არსებული კითხვა-პასუხის მოდული სასარგებლო და მნიშვნელოვანია, თუმცა გაუმჯობესებას საჭიროებს მომსახურების ოპერატიულობის თვალსაზრისით (ცხრილი 13).

დიაგრამა 7.



შენიშვნა: ეს კითხვა დაესვა კომპანიების 8%-ს, ვინც დარეგისტრირებულია და უსარგებლია კითხვა-პასუხის მოდულით

სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიების მხოლოდ 56% ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ინფორმაცია შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი შესყიდვების შესახებ ხელმისაწვდომია ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის მოდულში (ePlan); მათი უმრავლესობა (74%) აცხადებს, რომ ეს ინფორმაცია მათ კომპანიის საქმიანობის დაგეგმვაში ეხმარება. გასაკვირი არ არის, რომ კომპანიების უმრავლესობამ, რომელთაც არასოდეს მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში, არაფერი იცის ამ მოდულის შესახებ (ცხრილი 26 და 27).

გამოკითხვის შედეგები მოწმობს, რომ კომპანიების ინფორმირებულობის დონე სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე გაუმჯობესებას საჭიროებს. ერთ-ერთი ეფექტური გზა ამ მიმართულებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მეტი სემინარების შეთავაზება შეიძლება იყოს.

4.3. ნდობა სახელმწიფო შესყიდვების პროცესის მიმართ

ნდობა შესყიდვების სააგენტოს მიმართ

კომპანიების უმრავლესობა (60%) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსადმი ნდობას აფიქსირებს. მიუხედავად იმისა, რომ უნდობლობას კომპანიების მხოლოდ 8% აფიქსირებს, დიდი ნაწილი - დაახლოებით ერთი მესამედი (30%) - აღნიშნავს, რომ არ იცის, ენდობა თუ არ ენდობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს (დიაგრამა 8). ასეთი პასუხი განსაკუთრებით ხშირია კომპანიების მხრიდან,

რომლებსაც არასდროს მიუღია მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში, რაც შესაძლოა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესახებ მათი დაბალი ინფორმირებულობის შედეგი იყოს. ის კომპანიები, რომლებსაც ერთხელ მაინც მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიმართ უფრო ხშირად აფიქსირებენ ნდობას, ვიდრე სხვა კომპანიები. ეს შედეგი მიუთითებს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან ურთიერთობის გამოცდილება ხშირ შემთხვევაში დადებითია და სააგენტოს მიმართ მაღალ ნდობას იწვევს იმ კომპანიებში, რომელთაც მასთან შეხება ქონია (ცხრილი 29).

დიაგრამა 8



სახელმწიფო შესყიდვების სამართლიანობის აღქმა კომპანიების მიერ

რაც შეეხება კომპანიების მიერ სახელმწიფო ტენდერების ჩატარების სამართლიანობის აღქმას, შედეგები განსხვავებულია შესყიდვების ტიპის მიხედვით (დიაგრამა 9). კერძოდ, კომპანიების მესამედზე მეტი თვლის, რომ ელექტრონული (40%) და გამარტივებული ელექტრონული (38%) ტენდერები, ისევე როგორც გამარტივებული შესყიდვები (39%) სამართლიანად ტარდება. თუმცა ეს წილი საგრძნობლად მცირდება კონკურსის (23%) და კონსოლიდირებული ტენდერის (17%) შემთხვევაში, რაც შესაძლოა იმითაც აიხსნას, რომ ამ ტიპის შესყიდვებში მონაწილე კომპანიების რაოდენობა ბევრად ნაკლებია სხვა ტიპის შესყიდვებში მონაწილე კომპანიებთან შედარებით, შესაბამისად, უმრავლესობა ვერ დააფიქსირებს აზრს ისეთი ტიპის შესყიდვების შესახებ, რომლებშიც მათ მონაწილეობა არ მიუღიათ (ცხრილები 30-34).

დიაგრამა 9.



მონაცემთა შემდგომი ანალიზი აჩვენებს, რომ ის კომპანიები, რომლებსაც არასოდეს მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში, უფრო იშვიათად თვლიან, რომ სახელმწიფო შესყიდვები სამართლიანად ტარდება და უფრო უჭირთ პოზიციის დაფიქსირება ამ საკითხთან მიმართებაში. კერძოდ, იმ კომპანიების 70-80 %, რომელსაც ერთხელ მაინც მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში თვლის რომ გამარტივებული ელექტრონული ტენდერი და ელექტრონული ტენდერი სამართლიანად ან ძალიან სამართლიანად ტარდება, მაშინ როდესაც იმ კომპანიებიდან, რომლებსაც არასოდეს მიუღია მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში იგივე აზრს მხოლოდ ერთი მესამედი იზიარებს და 63%-ს უჭირს აზრის დაფიქსირება. ეს მონაცემები მიუთითებს, რომ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების სამართლიანობის ნაკლებად ჯერათ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც არასოდეს მონაწილეობენ სახელმწიფო შესყიდვებში, რაც შესაძლოა ნაწილობრივ მათ გამოცდილების და ინფორმაციის არქონით აიხსნას. თუმცა, იმ ორგანიზაციებს შორისაც, რომელთაც ერთხელ მაინც მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში, გარკვეული ნაწილი (10%-13%) მიიჩნევს რომ ეს ტენდერები უსამართლოდ ან ძალიან უსამართლოდ ტარდება. უფრო მეტიც, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიების ნახევარზე მეტი ამბობს რომ არ იცის რამდენად სამართლიანად ან უსამართლოდ ტარდება კონკურსი და კონსოლიდირებული ტენდერი და მათი მხოლოდ მესამედი მიიჩნევს რომ ასეთი ტიპის შესყიდვები ძალიან სამართლიანად ან სამართლიანად ტარდება (ცხრილები 30-34).

კომპანიების დაახლოებით მეოთხედი ეთანხმება მოსაზრებას, რომ სახელმწიფო შესყიდვებში ისეთი კომპანიები იმარჯვებენ, რომლებსაც გარკვეული კავშირები აქვთ ხელისუფლებასთან. 34% არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, ხოლო 39%-მა არ იცის პასუხი ამ კითხვაზე (დიაგრამა 10). აღსანიშნავია, რომ იმ კომპანიებიდან, რომლებსაც ერთხელ მაინც მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში, გაცილებით დიდი ნაწილი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, ვიდრე იმ კომპანიებიდან, რომლებსაც არასოდეს მიუღიათ

მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში. ამ უკანასკნელებს უფრო უჭირთ საკუთარი აზრის დაფიქსირება ამ მოსაზრებასთან მიმართებაში და ორჯერ უფრო ხშირად პასუხობენ „არ ვიცი“-ს, ვიდრე კომპანიები, რომელთაც აქვთ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის გამოცდილება (ცხრილი 35).

დიაგრამა 10.



ასევე, იმ კომპანიების დაახლოებით მესამედი (37%), რომლებსაც აქვთ მონაწილეობის გამოცდილება სახელმწიფო შესყიდვებში მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული ტენდერები ხშირად ერთ კონკრეტულ კომპანიაზეა „მორგებული“ და ამ კომპანიის გამარჯვებას ისახავს მიზნად (ცხრილი 64). ამ კომპანიების თითქმის ნახევარი კი ამ აზრს არ იზიარებს. ასევე, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიების 27% იზიარებს შეხედულებას, რომ შემსყიდველის მხრიდან მრავალჯერ ჩაშლილი ტენდერის მიზანი გამარტივებული შესყიდვის გამოცხადება და ამ გზით ერთ კონკრეტულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებაა, თითქმის ნახევარი კი ამ მოსაზრებას უარყოფს (დიაგრამა 11).

დიაგრამა 11.



შენიშვნა: ეს კითხვა დაესვა კომპანიების 16%-ს, რომელიც დარეგისტრირებულია, მიუღია მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში, გამარტივებული, ელექტრონული ტენდერის, ელექტრონული ტენდერის, კონსოლიდირებული ტენდერის ან კონკურსის მეშვეობით

ეს მონაცემები მიუთითებს, რომ, ზოგადად, კომპანიების ნდობა სახელმწიფო შესყიდვების პროცესის მიმართ არაა დაბალი. თუმცა იმ კომპანიებს, რომელთაც არასოდეს მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში, აქვთ უფრო დაბალი ნდობა და უფრო უჭირთ აზრის დაფიქსირება ამ საკითხზე, რაც, შესაძლოა, აიხსნება მათი გამოუცდელობით ამ სფეროში. ამასთან, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიების მნიშვნელოვან ნაწილს, აქვს ეჭვი, რომ სახელმწიფო შესყიდვები ხშირად ერთ კონკრეტულ კომპანიაზეა „მორგებული“ და მის გამარჯვებას ისახავს მიზნად.

სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების აღქმა კომპანიების მიერ

კომპანიების აზრი სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების შესახებ ორად იყოფა: კომპანიების დაახლოებით ნახევარი თვლის, რომ სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციები შესყიდვებში მონაწილე კომპანიებს სწრაფად და გასაგებად პასუხობენ დასმულ კითხვებზე, ზუსტად იციან, თუ რა მომსახურების/პროდუქტის შესყიდვა სურთ, პატივისცემით ეპყრობიან მიმწოდებლებს და ითვალისწინებენ მათ უფლებებს. დაახლოებით ნახევარი კი ამ კითხვებზე კვლავ „არ ვიცი“-ს პასუხობს. უფრო დეტალური ანალიზი აჩვენებს, რომ ამ შემთხვევაშიც, სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების შეფასება იმ კომპანიების მხრიდან, რომლებიც მონაწილეობენ სახელმწიფო შესყიდვებში, უმეტესწილად დადებითია. ხოლო, იმ კომპანიებს, რომლებსაც არასოდეს მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში, უჭირთ შემსყიდველი ორგანიზაციების შეაფსება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იმ კომპანიების დაახლოებით ერთი მეოთხედი, რომლებსაც ერთხელ მაინც მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში, არ ეთანხმება დებულებას, რომ სახელმწიფო შემსყიდველმა ორგანიზაციებმა ზუსტად იციან, თუ რა მომსახურების/პროდუქტის შესყიდვა სურთ და დაახლოებით ერთი მეხუთედი არ ეთანხმება დებულებას, რომ სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციები ითვალისწინებენ მიმწოდებლის უფლებებს (ცხრილები 36-40).

4.4. სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის გამოცდილება

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების თანახმად, კომპანიების 27% დარეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში და 17%-ს ერთხელ მაინც აქვს მონაწილეობა მიღებული სახელმწიფო შესყიდვაში (დიაგრამა 12). თუმცა იმ კომპანიებიდან, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში, დაახლოებით მესამედს (36%) არასოდეს მიუღია მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში.

დიაგრამა 12.



კითხვაზე, თუ როდის მიიღეს ბოლოს მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში, კომპანიების აბსოლუტური უმრავლესობა (86%) 2015-2016 წლებს ასახელებს, მათ შორის 58% - 2016 წელს. რაც შეეხება შესყიდვების ტიპებს, რომლებშიც კომპანიებს მონაწილეობა აქვთ მიღებული, ლიდერი ელექტრონული ტენდერია (61%), რასაც გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (55%) და გამარტივებული შესყიდვა (20%) მოჰყვება. გაცილებით იშვიათად სახელდება კონსოლიდირებული ტენდერი (3%) და კონკურსი (2%) (დიაგრამა 13).

დიაგრამა 13.



შენიშვნა: ეს კითხვა დაესვა კომპანიების 17%-ს, რომლებსაც მიღებიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში

რაც შეეხება შესყიდვებში გამარჯვების სიხშირის მაჩვენებელს (გამარტივებული შესყიდვის გარდა), შერჩეულ ხუთ სფეროსა და სხვა სფეროებში მოღვაწე კომპანიებს შორის განსხვავება თითქმის არ ფიქსირდება. საერთო ჯამში, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიების 16% აღნიშნავს, რომ არასდროს გაუმარჯვია სახელმწიფო შესყიდვებში. 15% ამბობს, რომ მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა, 28% ორიდან ხუთამდე გამარჯვებას ასახელებს, 14% - ექვსიდან ათამდე გამარჯვებას, ხოლო 23% - ათზე მეტს (დიაგრამა 14). მსგავსად ნაწილდება გამარტივებულ შესყიდვებში გამარჯვების სიხშირეც (დიაგრამა 15).

დიაგრამა 14.



შენიშვნა: ეს კითხვა დაესვა კომპანიების 17%-ს, რომლებსაც მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში

დიაგრამა 15.



შენიშვნა: ეს კითხვა დაესვა კომპანიების 17%-ს, რომლებსაც მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში

კომპანიების უმრავლესობას არ აქვს პრობლემა შესყიდვების ელექტრონულ სისტემასთან დაკავშირებით. მათი აბსოლიტური უმრავლესობა, იმის მიუხედავად პრიორიტეტულ ხუთ სფეროს მიეკუთვნება მათი საქმიანობა თუ სხვა სფეროებს, მიიჩნევს, რომ შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის პროცესი და ტენდერების შესახებ ინფორმაციის თუ სხვა საჭირო ინფორმაციის მოძიება მარტივი ან ძალიან მარტივია. მათთვის ასევე მარტივია სატენდერო/საკონკურსო ფასის წარდგენა (ხარჯთაღრიცხვის დაანგარიშება), ტექნიკური დოკუმენტაციის წარდგენა და ხელშეკრულების გაფორმება (დიაგრამა 16).

დიაგრამა 16.



შენიშვნა: ეს კითხვა დაესვა კომპანიების 17%-ს, რომლებსაც მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში

სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიების აზრით, შედარებით რთულია საბანკო გარანტიის მოპოვება: 8%-ის შეფასებით, საბანკო გარანტიის მოპოვება მათთვის ძალიან რთული იყო, ხოლო ნახევარზე მეტი (52%) ამბობს, რომ ეს პროცესი რთული იყო (ცხრილი 17).

დიაგრამა 17.



შენიშვნა: ეს კითხვა დაესვა კომპანიების 17%-ს, რომლებსაც მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში

სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიების 19% ამბობს, რომ მოითხოვეს საგარანტიო თანხის უკან დაბრუნება და მათი უმრავლესობა დაბრუნების პროცესს აფასებს როგორც რთულს (60%) ან ძალიან რთულს (17%) (დიაგრამა 18).

დიაგრამა 18.



შენიშვნა: ეს კითხვა დაესვა კომპანიების 3%-ს, ვისაც მოუთხოვია საგარანტიო თანხის დაბრუნება

სატენედერო დოკუმენტაცია

კომპანიების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სატენდერო დოკუმეტაციაში ინფორმაცია საკმაოდ გარკვეულადაა წარმოდგენილი. კომპანიების 10%-20% მიიჩნევს, რომ სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული კომპანიის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერა, ხელშეკრულების პირობები, პროდუქციის/მომსახურების მიწოდების ვადები, სატენდერო წინადადების სავარაუდო ღირებულება და დამატებითი ინფორმაციისა და განმარტების მოთხოვნის საშუალება გაურკვევლადაა წარმოდგენილი (დიაგრამა 19). შერჩეულ ხუთი სფეროს და სხვა სფეროების წარმომადგენელ კომპანიებს შორის სხვაობა არც ამ მხრივ ფიქსირდება (ცხრილები 52-57).

დიაგრამა 19.



შენიშვნა: ეს კითხვა დაესვა კომპანიების 17%-ს, რომლებსაც მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში

სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიების უმრავლესობა ასევე რეალისტურად მიიჩნევს სატენდერო დოკუმენტაციაში მოყვანილი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, როგორებიცაა კომპანიის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერა, ხელშეკრულების პირობები, ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდების ვადები, სატენდერო წინადადების სავარაუდო ღირებულება და ნიმუშის წარდგენის ვადები. თუმცა ამ კომპანიების მცირე ნაწილი (10-15%) ამ მოთხოვნების დაკმაყოფლებას არარეალისტურად მიიჩნევს (დიაგრამა 20). შერჩეული ხუთი სფეროს და სხვა სფეროების წარმომადგენლების აზრის შედარება განსხვავებას აქაც არ იძლევა (ცხრილები 58-63).

დიაგრამა 20.



შენიშვნა: ეს კითხვა დაესვა კომპანიების 17%-ს, რომლებსაც მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში

ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიების უმრავლესობა (86%) მიიჩნევს, რომ სახელმწიფო შესყიდვებისას ხელშეკრულების გაფორმება სწრაფად ხდება და მასში მიმწოდებლის უფლებები სრულად (31%) ან ნაწილობრივაა (51%) გათვალისწინებული. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესრულების ვადებს უმრავლესობა (76%) რეალისტურად ან ძალიან რეალისტურად აფასებს, 20%-ს კი მიაჩნია, რომ შესრულების ვადები არარეალისტურია. 88% მიიჩნევს, რომ სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობებს კარგად ასრულებს. ამასთან, კომპანიების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების პირობების ცვლილება საჭიროების შემთხვევაში არასდროს (21%) ან იშვიათად (26%) ხდება. ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შერჩეული ხუთი სფეროს და სხვა სფეროების წარმომადგენელ კომპანიათა აზრი არ განსხვავდება (ცხრილები 67-71).

დავების განხილვის საბჭო

შესყიდვებში მონაწილე კომპანიების უმრავლესობას (85%) არასოდეს მიუმართავს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან არსებული დავების განხილვის საბჭოსთვის. დარჩენილი 15%-დან, უმრავლესობის (13%) მოთხოვნა განხილული იქნა დავების განხილვის საბჭოს მიერ. მათი თითქმის ნახევრის (45%) მოთხოვნა დაკმაყოფილდა, 53%-ის - არა (ცხრილები 75 და 77).

იმ კომპანიების თითქმის ნახევარი (47%), რომლებსაც მიუმართავთ დავების განხილვის საბჭოსთვის, აცხადებს, რომ კმაყოფილია დავების განხილვის საბჭოს მუშაობით, 45% კი - უკმაყოფილო.

უკმაყოფილების მიზეზად კომპანიები ასახელებენ დავების საბჭოს არაკომპეტენტურ წევრებს (32%) და დავების საბჭოს მიკერძოებულობას შემსყიდველი ორგანიზაციების მიმართ (34%) (ცხრილები 78 და 79).

იმ კომპანიების უმრავლესობა (94%), რომელთაც არასოდეს მიუმართავთ დავების განხილვის საბჭოსთვის, ამის მიზეზად სადაო საკითხის არქონას ასახელებს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიების მცირე ნაწილი ამას დავების განხილვის საბჭოს შესახებ ინფორმაციის არ ქონით (2%) ან მის მიმართ უნდობლობით ხსნის (3%) (ცხრილი 76). მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიების დაახლოებით ნახევარმა (54%) არაფერი იცის იმის შესახებ, რომ დავების განხილვის საბჭოს შემადგენლობაში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც შედიან (ცხრილი 74).

როგორც ეს მონაცემები აჩვენებს, იმ კომპანიების აზრი დავების განხილვის საბჭოს შესახებ, რომელთაც შეხება ქონიათ მასთან ორად იყოფა: მათი ნაწილი - კმაყოფილია, ნაწილი კი უკმაყოფილო. თუმცა შედეგების ინტერპრეტირებისას მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება რომ ასეთი კომპანიები გამოკითხვაში ძალიან მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი (სულ 60 კომპანია) და მათი აზრის განზოგადება შეცდომა იქნებოდა. გაცილებით უფრო სანდო ინფორმაციას იძლევა კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელოა სახელმწიფო შესყიდვების უკეთ ფუნქციონირებისთვის დავების განხილვის საბჭოს სხდომაზე შესაბამისი სპეციალისტის დასწრება. ეს კითხვა ყველა კომპანიას დაესვა იმის მიუხედავად მიუღიათ თუ არა მათ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა ან ჰქონიათ თუ არა შეხება დავების განხილვის საბჭოსთან. როგორც აღმოჩნდა, ჯამში კომპანიების 70% მიიჩნევს რომ ეს მნიშვნელოვანი ცვლილება იქნებოდა სახელმწიფო შესყიდვების უკეთ ფუნქციონირებისთვის. ამასთან, იმ კომპანიების 91%, რომლებსაც ერთხელ მაინც მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში ამ ცვლილებას მნიშვნელოვნად აფასებს (დიაგრამა 21). ეს მონაცემები მიუთითებს, რომ დავების განხილვის საბჭოს მუშაობა გაუმჯობესებას საჭიროებს და რომ სხდომებზე მიმდინარე დავის ობიექტის სპეციალისტის ან სპეციალისტების დასწრება ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა ამ მიმართულებით.

დიაგრამა 21.



4.5. სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის ბარიერები

კითხვაზე, თუ რამდენად ხშირად მონაწილეობენ სახელმწიფო შესყიდვებში, იმ კომპანიების თითქმის ნახევარი (47%), ვისაც ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვაში, პასუხობს, რომ ყოველთვის ან ხშირად მონაწილეობს, 52% კი ზოგჯერ ან იშვიათად მონაწილეობს (დიაგრამა 22).

დიაგრამა 22



შენიშვნა: ეს კითხვა დაესვა კომპანიების 17%-ს, რომლებსაც მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში

ისინი, ვინც იშვიათად ან ზოგჯერ მონაწილეობენ სახელმწიფო შესყიდვებში, ამბობენ, რომ მათი უფრო ხშირად არმონაწილეობის მიზეზებია ის, რომ (1) კომპანია ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილ ბრუნვას (21%); (2) აქვს ტენდერის მოცულობასთან შედარებით შეზღუდული შესაძლებლობები (16%); (3) არ გააჩნია ის პროდუქტი, რომელიც მათ ხელთ არსებულ პროდუქციასთან ერთადაა მოთხოვნილი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ (14%); (4) არ გააჩნიათ კონკრეტული ბრენდის საქონელი, რომელსაც შემსყიდველი ორგანიზაცია მოითხოვს (13%); (5) არ აქვს ინფორმაცია გამოცხადებული ტენდერების შესახებ (10%); (6) კომპანიას არ აქვს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ მოთხოვნილი გამოცდილება (9%). აღსანიშნავია, რომ მოთხოვნილი ბრუნვა საშუალოზე მეტადაა პრობლემატური შერჩეული ხუთი სფეროს წარმომადგენელი კომპანიებისთვის - მათი 30% სახელმწიფო შესყიდვებში იშვიათად მონაწილეობის მიზეზად სწორედ მოთხოვნილ ბრუნვას ასახელებს (ცხრილი 73).

ამასთან, იმ კომპანიების მცირე ნაწილისთვის (9%), რომლებიც იშვიათად ან ზოგჯერ მონაწილეობენ სახელმწიფო შესყიდვებში, მონაწილეობის შემაფერხებელი ფაქტორი სისტემის მიმართ უნდობლობა და იმის ეჭვია, რომ პროცესი მიკერძოებულად წარიმართება (ცხრილი 73).

რაც შეეხება იმ კომპანიებს, რომლებიც დარეგისტრირებულნიც არ არიან სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში, ამის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ არ არიან დაინტერესებულნი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობით (56%), რომ გამოცხადებული ტენდერები არ შეესაბამება მათი კომპანიის საქმიანობას (27%), რომ არ აკმაყოფილებენ მოთხოვნას მოთხოვნილ ბრუნვასთან დაკავშირებით (10%) და რომ არ აქვთ ინფორმაცია გამოცხადებული ტენდერების შესახებ (7%) (დიაგრამა 22). მსგავსად ნაწილდება პასუხები კითხვაზე, თუ რატომ არ მონაწილეობენ სახელმწიფო შესყიდვებში ის კომპანიები, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში (ცხრილი 42).

დიაგრამა 23.



შენიშვნა: ეს კითხვა დაესვა კომპანიების 71%-ს, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში)

5. რეკომენდაციები

კომპანიების აზრით, სახელმწიფო შესყიდვების სისტემის უკეთ ფუნქციონირებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია შესყიდვის ობიექტის ხარისხის სტანდარტების შემუშავება (61%), სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება შესაბამისი სპეციალისტების ან სპეციალისტთა ჯგუფის მიერ (54%), ტენდერის გამოცხადებამდე ბაზრის მოკვლევის პროცესის დახვეწა (51%), სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციებში შესაბამისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება (50%), დავების საბჭოს სხდომებზე შესაბამისი სპეციალისტების დასწრება (46%) და მიმწოდებლებისთვის სახელმწიფო შესყიდვების თემაზე ტრენინგების შეთავაზება (39%) (დიაგრამა 24).

დიაგრამა 24.



ამასთან, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიების წარმომადგენელთა შეფასებებით, თითოეული ეს ცვლილება უფრო მნიშვნელოვნია, ვიდრე იმ კომპანიების წარმომადგენელთა შეფასებებით, რომლებიც არ მონაწილეობენ სახელმწიფო შესყიდვებში. იმ კომპანიების დაახლოებით ერთ მეოთხედს, რომლებსაც არასოდეს მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში უჭირთ შეაფასონ ზემოთ ხსენებული ცვილებების მნიშვნელობა, რაც შესაძლოა შესაბამისი გამოცდილების არქონით აიხსნას. თუმცა მათი უმრავლესობა თვლის, რომ სახელმწიფო შესყიდვების უკეთ ფუნქციონირებისთვის მნიშნელოვანი ან ძალიან მნიშვნელოვანია ობიექტის ხარისხის სტანდარტების შემუშავება (80%), სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება შესაბამისი სპეციალისტების ან სპეციალისტთა ჯგუფის მიერ (74%), ტენდერის გამოცხადებამდე ბაზრის მოკვლევის პროცესის დახვეწა (76%), სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციებში შესაბამისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება (76%), დავების საბჭოს სხდომებზე შესაბამისი სპეციალისტების დასწრება (66%) და მიმწოდებლებისთვის სახელმწიფო შესყიდვების თემაზე ტრენინგების შეთავაზება (70%). რაც შეეხება იმ კომპანიებს, რომლებიც მონაწილეობენ სახელმწიფო შესყიდვებში, მათ არ უჭირთ აზრის დაფიქსირება ამ კუთხით და ზემოთ

ხსენებულ რეკომენდაციებს მათი აბსოლიტური უმრავლესობა (85% - 95%) ძალიან მნიშვნელოვნად ან მნიშვნელოვნად თვლის.

გარდა რეკომენდაციებისა, რომლებიც გამოკითხვის პროცესში დასახელდა კომპანიების მიერ, გამოკითხვის შედეგები სხვა რეკომენდაციების შემუშავების საშუალებას გვაძლევს. კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვებში კომპანიების მონაწილეობის წახალისებისთვის მნიშვნელოვანი იქნება:

1. სახელმწიფო შესყიდვების თემაზე სემინარების და ინფორმაციული შეხვედრების მეტი ხელმისაწვდომობა კომპანიებისთვის,
2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებული კითხვა-პასუხის მოდულის დახვეწა და პასუხების სისწრაფის უზრუნველყოფა,
3. ხელშეკრულებების მოქნილობა საჭიროების შემთხვევაში და მათში მიმწოდებელთა უფლებების გათვალისწინება,
4. საგარანტიო თანხის დაბრუნების პროცესის გამარტივება,
5. სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიებისთვის მოთხოვნილი ბრუნვის ოდენობის შემცირება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შერჩეული ხუთი სფეროს წარმომადგენელი კომპანიებისთვის.

დანართი 1 - მეთოდოლოგია

შერჩევა

შერჩევის დიზაინი წარმოადგენს ორ დონიან არაპროპორციულ სტრატიფიკაციას (სტრატის და სუბსტრატის). შერჩევა მოიცავს ორ სტრატას, რომლიდანაც თითოეულში 500 კომპანია ერთიანდება. ერთი სტრატა მოიცავს კომპანიებს რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ სახელმწიფო შესყიდვებში (იმის მიუხედავად, მათ გაიმარჯვეს თუ არა სახელმწიფო შესყიდვის კონკურსში), ხოლო მეორე სტრატა მოიცავს კომპანიებს, რომელთაც არ მიუღიათ მონაწილეობა შესყიდვებში (იმის მიუხედავად ისინი იყვნენ თუ არა დარეგისტრირებულნი სახელმწიფო შესყიდვების პორტალზე). კვლევა წარმომადგენლობითია სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე და არამონაწილე კომპანიებისთვის, მაგრამ არ არის წარმომადგენლობითი ცალკე აღებულ სფეროებში მომუშავე კომპანიებისთვის.

თითოეული სტრატა თავის მხრივ იშლება 6 სუბსტრატად კომპანიების საქმიანობის სფეროების მიხედვით. აქედან 5 სუბსტრატა მოიცავს შემდეგ სფეროებში მომუშავე კომპანიებს: მშენებლობა, არქიტექტორული და საინჟინრო მომსახურება/ტექნიკური კონსულტაციების გაწევა, ავეჯი, ტრანსპორტი, საკვები პროდუქტები და სასმელი. მეექვსე სუბსტრატა მოიცავს სხვა სფეროებში მოღვაწე კომპანიებს და წარმოადგენს შერჩევის ნახევარს.

შერჩევის ჩარჩო წარმოადგენდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებულ 2016 წლის 1 აპრილის მდგომარეობით საქართველოში მოქმედი 25,011 კომპანიის სიას, რომელთა წლიური ბრუნვა შეადგენს მინიმუმ 100 ათას ლარს. კომპანიები, რომელთა წლიური ბრუნვა 100 ათას ლარზე ნაკლებია, არ შესულა შერჩევაში. სიაში შემავალი კომპანიები წარმოადგენდნენ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განსაზღვრული საქმიანობის 608 კატეგორიას, რომლებიც თავის მხრივ ჯგუფდება 6 სფეროდ: მშენებლობა, არქიტექტორული და საინჟინრო მომსახურება/ტექნიკური კონსულტაციების გაწევა, ავეჯი, ტრანსპორტი/ლოგისტიკა, საკვები პროდუქტები, სასმელი და სხვა (საქმიანობის კატეგორიების ჩამონათვალის სფეროების მიხედვთ მოცემულია დანართის სახით). სიიდან გამოირიცხა ის კომპანიები, რომელთა საქმიანობის კატეგორია არ იყო მითითებული სიაში. აღნიშნულ სიაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემების მეშვეობით, მოხდა იმ კომპანიების იდენტიფიცირება, რომელთაც მონაწილეობა აქვთ მიღებული სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მონაცემები მოიცავდა სახელმწიფო შესყიდვების პორტალზე რეგისტრირებულ 25,230 კომპანიას, რომლიდან 15,508-ს მონაწილეობა ჰქონდა მიღებული სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში. აღნიშნული მონაცემებიდან მოხდა არარეზიდენტი კომპანიების და იმ კომპანიების გაფილტვრა, რომელთა წლიური ბრუნვა 100 ათას ლარზე ნაკლებია (ჯამში 19,554 კომპანია, აქედან 11,308 - სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე და 8,246 - არამონაწილე). დარჩენილი 5,676 კომპანიიდან 120 გამოირიცხა, რადგან არ ჰქონდათ მითითებული საქმიანობის სფერო. დარჩენილი 5,556-დან 4,117 კომპანია იდენტიფიცირებულ იქნა შერჩევის ჩარჩოში, როგორც სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე, ხოლო დანარჩენი 1,439 - როგორც არამონაწილე. ის კომპანიები, რომლებიც შედიოდნენ შერჩევის ჩარჩოში (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებულ სიაში), მაგრამ არ შედიოდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მოწოდებულ სახელმწიფო შესყიდვების პორტალზე რეგისტრირებულ კომპანიების სიაში, იდენტიფიცირებულნი იქნენ, როგორც სახელმწიფო შესყიდვებში არამონაწილეები.

შერჩევის ჩარჩო და შერჩევის თავდაპირველი განაწილება სტრატების მიხედვით

სფერო	სტრატა 1. სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე	სტრატა 2. სახელმწიფო შესყიდვებში არამონაწილე

	შერჩევის ჩარჩო	შერჩევა	შერჩევის ჩარჩო	შერჩევა
1. მშენებლობა	833	100	866	100
2. არქიტექტორული და საინჟინრო მომსახურება; ტექნიკური კონსულტაციების გაწევა	222	100	235	100
3. ავეჯი	81	81	314	100
4. ტრანსპორტი და ლოგისტიკა	126	100	1195	100
5. საკვები პროდუქტები და სასმელი	241	100	2708	100
6. სხვა სფეროები	2614	500	14431	500
საქმიანობა არ არის მითითებული	83		1062	
ჯამში	4200	981	20811	1000

კომპანიები შეირჩა შემთხვევითი შერჩევის წესით შერჩევის ჩარჩოდან. თითოეულ კომპანიასთან ინტერვიუერს ჰქონდა სამი კონტაქტის მცდელობა ინტერვიუერის ჩატარების მიზნით. შერჩეულ კომპანიაში გამოიკითხა შესყიდვების სფეროს სპეციალისტი, ხოლო ამ უკანასკნელის არ არსებობის ან მოუწვდომლობის შემთხვევაში, კომპანიის მენეჯერი ან ფინანსური განყოფილების სპეციალისტი. თითოეულ კომპანიასთან კონტაქტის შედეგები და დროები აღირიცხებოდა სპეციალურ ფორმაში არგამოპასუხების დონის და მიზეზების შეფასების მიზნით.

ინტერვიუები ჩატარდა პირისპირ მეთოდით, ტაბლეტური კომპიუტერების გამოყენებით (CAPI), რომელიც იძლევა დროის ეკონომიის და მონაცემთა ხარისხის კონტროლის შესაძლებლობას ველის მიმდინარეობის დროს.

რიგ შემთხვევებში კომპანიის საქმიანობის სფერო და/ან სახელმწიფო შესწყიდვების პროცედურებში მონაწილეობის სტატუსი აღმოჩნდა განსხვავებული შერჩევის ჩარჩოში მითითებული საქმიანობისგან. ასეთ შემთხვევებში მონაცემთა ბაზაში კომპანია მითითებულია რეალური სტატუსის მიხედვით.

გამოპასუხების განაწილება სტრატების მიხედვით

სფერო	სტრატა 1. სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე	სტრატა 2. სახელმწიფო შესყიდვებში არამონაწილე	ჯამი
1. მშენებლობა	87	62	149
2. არქიტექტორული და საინჟინრო მომსახურება; ტექნიკური კონსულტაციების გაწევა	42	24	66
3. ავეჯი	36	64	100
4. ტრანსპორტი და ლოგისტიკა	43	47	90
5. საკვები პროდუქტები და სასმელი	66	124	190
6. სხვა სფეროები	186	177	363
ჯამში	460	498	958

შერჩევის განაწილება რეგიონების მიხედვით

რეგიონი	შერჩევის ჩარჩო		შერჩევა		გამოპასუხება	
	რაოდენობა	პროცენტი	რაოდენობა	პროცენტი	რაოდენობა	პროცენტი
თბილისი	12922	51.70%	1,201	60.60%	461	48.12%
აჭარა	2499	10.00%	211	10.70%	143	14.93%
გურია	269	1.10%	18	0.90%	11	1.15%
იმერეთი	1953	7.80%	142	7.20%	101	10.54%
კახეთი	990	4.00%	52	2.60%	47	4.91%
მცხეთა-მთიანეთი	265	1.10%	20	1.00%	11	1.15%
რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი	63	0.30%	4	0.20%	1	0.10%
სამეგრელო/ზემო სვანეთი	1082	4.30%	98	5.00%	62	6.47%
სამცხე-ჯავახეთი	471	1.90%	36	1.80%	19	1.98%
ქვემო ქართლი	1417	5.70%	81	4.10%	44	4.59%
შიდა ქართლი	815	3.30%	49	2.50%	42	4.38%
რეგიონი არ არის მითითებული	2265	9.10%	69	3.50%	16	1.67%
სულ	25011		1981		958	

კითხვარი

კითხვარის შემუშავებას წინ უძღოდა სამი ფოკუს-ჯგუფი სხვადასხვა კომპანიების გაყიდვებზე პასუხისმგებელ პირებთან. ფოკუს ჯგუფების მიზანი იყო კითხვარის შესაქმნელად საჭირო ინფორმაციის მიღება პოტენციურ პრობლემებზე და შესაძლებლობებზე რომლებსაც კოპანიები სახელწიფო შესყიდვების პროცესში მონაწილეობისას ხედავენ. ფოკუს ჯგუფების სადისკუსიო გეგმა მომზადდა CRRC-საქართველოს თანამშრომლების მიერ G4G-სთან და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომობით.

ფოკუს მიგნებების საფუძველზე და შესყიდვების სააგენტოსთან და G4G-სთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავებულ იქნა კითხვარი. კითხვარის პირველი ვერსიის გამოყენებით ჩატარდა პილოტური კვლევა. პილოტური კვლევა ჩაატარეს CRRC-საქართველოს თანამშრომლებმა, რომელთაც ჩაუტარდათ სპეციალური ტრენინგი გამოკითხვისთვის რესპონდენტების შერჩევაზე და კითხვარზე, ბარათებზე და კითხვარში არსებულ პრობლემურ კითხვებზე ყურადღების გამახვილებით. პილოტური კვლევა ჩატარდა 23-25 აპრილს. პილოტური კვლევის მიზანს წარმოადგენდა კითხვარის შინაარსობრივი და ტექნიკური დეტალების შემოწმება და ასევე იმ კომპიუტერული პროგრამის შემოწმება, რომლის საშუალებითაც ტარდება ინტერვიუები.

პილოტურ კვლევას არ გამოუვლენია მნიშვნელოვანი პრობლემები კითხვარში და/ან კომპიუტერულ პროგრამაში. ინტერვიუები 15-დან 30-წუთამდე გრძელდებოდა, რაც გამოკითხვისთვის ოპტიმალური დროა. გამოვლინდა და შესწორდა კითხვარში არსებული რამდენიმე მცირე ხარვეზი. ერთი პრობლემა, რაც პილუტურმა კვლევამ ცხადყო არის ის, რომ რესპონდენტების დასათანხმებლად და მათთან ინტერვიუს დასანიშნად გაცილებით მეტი დრო აღმოჩნდა საჭირო, ვიდრე ეს თავიდან იყო ნავარაუდები.

საველე სამუშაო

საველე სამუშაოები დაიწყო 17 მაისს და დასრულდა 19 ივნისს. საველე სამუშაოს დაწყების წინ ყველა რეგიონის ზედამხედველსა და ინტერვიუერს ჩაუტარდათ ტრენინგი. ტრენინგზე მათ მიეწოდათ ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ. დეტალურად გაეცნენ სახელმწიფო შესყიდვების სპეციფიკას, შესყიდვების ტიპებს და კონკურსის მიმდინარეობის წესებს. ასევე, დეტალურად შეისწავლეს კითხვარი და განიხილეს შესაძლო პრობლემები და დაბრკოლებები, რაც ველის მიმდინარეობისას შეიძლებოდა წარმოშობილიყო. მიიღეს ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ დაკავშირებოდნენ შერჩევაში მოხვედრილ კომპანიებს და ვისთან ჩაეტარებინათ ინტერვიუ. საველე სამუშაოების განმავლობაში ინტერვიუერებს ჰქონდათ ხშირი კავშირი ზედამხედველებსა და CRRC საქართველოს მკვლევარებთან. ყველა პრობლემა თუ დაბრკოლება ველის მიმდინარეობის პერიოდში განხილულ იყო CRRC საქართველოს მკვლევართან, რომელიც პასუხისმგებელი იყო ველის მიმდინარეობაზე.

ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 20 წუთს. ინტერვიუების 66.3 პროცენტი ჩატარდა პირველი კონტაქტის, 33.4 პროცენტი - მეორე კონტაქტის და 0.3 პროცენტი - მესამე კონტაქტის მცდელობისას.

საველე სამუშაოების დროს დაფიქსირდა შემდეგი შემთხვევები:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია კონკრეტული კომპანიის რეგისტრაციის სტატუსის შესახებ ზოგჯერ არ ემთხვეოდა კომპანიის წარმომადგენლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. მაგალითად, procurement.gov.ge-ზე დარეგისტრირებული ორგანიზაციის წარმომადგენელი ამბობდა, რომ მისი კომპანია არ არის ამ ვებგვერდზე დარეგისტრირებული და არასოდეს მიუღია სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა. ასევე, იყო შემთხვევები, როდესაც კომპანიის წარმომადგენელი, რომელიც, ჩვენი ინფრომაციით, არ დარეგისტრირებულა ვებგვერდზე, აცხადებდა, რომ ორგანიზაცია დარეგისტრირებულია და მონაწილეობაც მიუღია ტენდერში/კონკურსში. კომპანიების გამოკითხვა მოხდა მათი რეალური სტატუსის შესაბამისად,
2. შერჩევაში მოხვედირილი რამდენიმე ორგანიზაცია აღარ ფუნქციონირებდა ან შეცვლილი სახელით განაგრძობდა მუშაობას,
3. რეგიონში დარეგისტრირებული ორგანიზაციების წარმომადგენლები რეალურად თბილისში მუშაობენ და შესაბამისად მათი გამოკითხვა დედაქალაქში მოხდა.

გამოპასუხების დონე შეადგენდა 48.4 პროცენტს (958 დასრულებული ინტერვიუ). არგამოპასუხების მიზეზები შემდეგნაირად გადანაწილდა:

არგამოპასუხების მიზეზი	რაოდენობა	პროცენტი
რესპონდენტი დაკავებული იყო მთელი საველე სამუშაოების მანძილზე	261	25.5%
რესპონდეტმა უარი განახცადა რადგან არ იყო დაინტერესებული	233	22.8%
რესპონდენტმა უარი განაცხადა სხვა მიზეზების გამო	188	18.4%
ორგანიზაციის პოვნა ვერ მოხერხდა	175	17.1%
ორგანიზაცია დაკეტილი იყო	78	7.6%
რესპონდენტს არ შეეძლო საუბარი გარკვეული მიზეზების გამო (არა ენის ცოდნის)	48	4.7%
რესპონდენტმა არ იცოდა ინტერვიუს ენა	23	2.2%
რესპონდეტმა უარი განაცხადა რადგან არ სჯეროდა ინტერვიუს კონფიდენციალობის	12	1.2%
რესპონდენტმა შეწყვიტა ინტერვიუ	5	0.5%

ჯამი	1023	100%

მონაცემთა შეწონვა

შერჩევის დიზაინში არაპროპორციული სტრატიფიკაციის გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიები შეირჩა არათანაბარი ალბათობით. აღნიშნული დიზაინის შერჩევიდან გენერალურ ერთობლიობაზე დასკვნების გაკეთება მოითხოვს შერჩევაში მოხვედრილი ერთეულებისთვის მათი შერჩევის ალბათობის უკუპროპორციული წონითი კოეფიციენტების მინიჭებას, რაც გამოთვლილი იქნა მონაცემთა დამუშავების ეტაპზე და დაემატა მონაცემთა ბაზას.

მონაცემთა ხარისხის შემოწმება

მონაცემთა წმენდა განხორციელდა მონაცემთა ბაზაში შეუსაბამობების აღმოსაჩენად და გასწორების მიზნით, სადაც ეს შესაძლებელი იყო, გარდა ამისა მოხდა ტექსტური ცვლადების (ღია კითხვების პასუხების) კოდირება და გამორჩენილ მონაცემებში სპეციალური ,,ინტერვიუერის შეცდომის“ კოდის შეყვანა.

დანართი 2 - ცხრილები

ცხრილი 1. რესპონდენტის თანამდებობა

